სუპერთასის მოდელით...

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 26 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) 1:1 (0:1).

თბილისი: იმნაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, ესებუა, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

კიევი: რუდაკოვი, კონკოვი, ზუევი, ფომენკო, რეშკო, დამინი, მუნტიანი, ონიშჩენკო, ბურიაკი, ვერემეევი, ბლოხინი.

მსაჯი: ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებული არიან ძოძუაშვილი, რუდაკოვი.

დუბლიორები – 1:0.

ამ ბოლო ხანებში, როცა კიევის “დინამოზე” კითხულობ სარეცენზიო წერილებს, თითქმის მუდამ გხვდება თვალში ავტორის კომენტარი: როგორ თამაშობდა ჩვენი ფეხბურთის ლიდერი: საშინაო მოდელით, რომელიც აუცილებელ გამარჯვებას გულისხმობს, თუ სამგზავროთი, რომელიც ასეთივე კატეგორიულობით ვარაუდობს მხოლოდ ერთ ქულას?

ეს, მართლაც, საყურადღებო პრობლემაა კიეველთა მოწინააღმდეგეებისთვის, ვინაიდან ერთი საქმეა, როცა ეს გუნდი იბრძვის მაქსიმალური მობილიზებით, სრული შესაძლებლობით, რამაც მას ევროპის თასების მფლობელთა თასი და სუპერთასი მოუტანა და სულ სხვაა, როცა იგი ფრეზეც თანახმაა, თავის ამ “კეთილგანწყობილების” თამაშს დასაწყისიდანვე აგრძნობინებს ხოლმე მეტოქეს და მასაც აიძულებს სიამოვნებით მოაწეროს ხელი ერთქულიან შედეგს (თამაშის მესამე მოდელი, ტაშკენტისა – 0:5, იმდენად მოულოდნელი და უნიკალურია კიეველთა პრაქტიკაში, რომ მისი გამეორების ვარაუდი თბილისში, უბრალოდ, არასერიოზულობა იქნებოდა).

კარგა ხანს ყურადღებით ვაკვირდებოდით კიეველთა თამაშს და თანდათან მივდიოდით იმ დასკვნამდე, თითქოს მათ სამგზავრო მოდელი ჰქონდათ ჩამოტანილი ჩვენს ქალაქში: მატჩი მიმდინარეობდა ნელ ტემპში, აუჩქარებელი გადაცემებით შუა მინდორში, ფლანგიდან ფლანგზე, უშფოთველად, 30 წუთმა ისე განვლო, თბილისელთა კართან არ შექმნილა არც ერთი რამდენადმე მაინც სახიფათო მომენტი, მაშინ, როცა მე–13 წუთზე ყიფიანს შეეძლო გოლით დაემთავრებინა ძოძუაშვილის შორეული, ზუსტი გადაცემა.

მაგრამ, აი, დადგა მატჩის 30–ე წუთი. თბილისელთა კარისკენ ბურთიანად დაიძრა ბლოხინი, მის წინააღმდეგ იბრძოდა ძოძუაშვილი. თქმა იმისა, რომ ამ ორი ფეხბურთელის პირისპირ შებმა მოხდა კორექტული და ურთიერთ თავაზით აღსავსე ვითარებაში, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. შექმნილი სიტუაცია და მომენტის სიმწვავე არც ფორვარდს, არც მცველს არ აძლევდა რაიმე კომპრომისის საშუალებას, ამიტომ წესის დარღვევის ადგილი ჰქონდა ორივე მხრივ და როცა ბურთმა ამ ორმხრივ შეტაკებებში თითქმის პირით ხაზამდე მიაღწია, მსაჯმა ა. ტაბაკოვმა გააჩერა თამაში. მან ძოძუაშვილი დააჯარიმა.

არბიტრთან დავა ძნელი საქმეა. ჩვენ ტრიბუნიდან ვუყურებთ თამაშს, მოზრდილ დისტანციაზე, ის კი ყველაზე ახლოს იმყოფება სათამაშო ეპიზოდთან, ამიტომ ყველაზე უკეთესად განსაზღვრავს ის ყოველ დეტალს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთი

შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ იმ მომენტში, როცა ფიქსაცია მოხდა, დარღვევას ბლოხინის მხრივ ადრე ჰქონდა ადგილი. თამაშის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ასეთივე აზრი გამოთქვეს მსაჯთა გამსინჯავი ბრიგადის წევრებმაც, მაგრამ ეს იყო მატჩის შემდეგ, თვით მატჩის დროს კი მსაჯის სასტვენი – კანონია. დაინიშნა ჯარიმა ძალიან სახიფათო პოზიციაში თბილისელთათვის, თითქმის საჯარიმო მოედნის ხაზიდან. ვერემეევმა, რომელიც საჯარიმოს ასრულებდა, არ იჩქარა. მან აცალა თავის პარტნიორებს შეესრულებინათ რამდენიმე მანევრი, ამ მოძრაობის დროს მოხდა მცველთა შესაბამისი გადაადგილებებიც, რის შედეგად წამით ღიად დარჩა ბლოხინი. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი მცველების, უპირველეს ყოვლისა, სტოპერების მიუტევებელი შეცდომაა. ამგვარი მიწოდებისას, ზედ კარის წინ უმეთვალყუროდ დატოვო მოწინააღმდეგე ფორვარდი და ისიც – ბლოხინი? კიეველები ამას არავის აპატიებენ. ვერემეევის გადაცემა და ბლოხინის თავური დარტყმა შესრულდა ერთ მთლიანობაში, სწრაფად, ზუსტად – 1:0.

ამ მომენტიდან ყოველგვარი ორჭოფობა კიეველთა თამაშის გასვლითი თუ შინაური მოდელის თაობაზე უსაფუძვლო იყო. ცხადი გახდა, რომ ისინი თამაშობდნენ მხოლოდ მოგებაზე, დაახლოებით სუპერთასის ვარიანტს და მაშინვე მკვეთრად იმატა მატჩის საერთო დაძაბულობამ, ტემპმა, სახიფათო მომენტებმა ორივე კართან.

ეს განსაკუთრებით ნათლად შესამჩნევი შეიქნა მეორე ტაიმში. დროს დაკარგვა რა შეიძლებოდა არავითარ შემთხვევაში, ყოველ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამიტომ თბილისელებმა თავიდანვე გადაისროლეს მთელი ძალები შეტევაში და ხანგრძლივად დასახლდნენ მოპირდაპირე ნახევარზე. რამდენიმე საფუძვლიანი იერიშის შემდეგ, 58–ე წუთზე, მაჩაიძემ ძლიერად დაარტყა კარში, რუდაკოვმა შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ გუცაევმა ხელმეორედ გაგზავნა იგი მიზანში – 1:1.

მეტოქეთა შემდგომ მრავალრიცხოვან ცდას შეეტანათ ცვლილება ანგარიშში, შედეგი არ მოჰყოლია. ჩემპიონობის უეჭველმა კანდიდატმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ქულა.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 28 ოქტომბერი, 1975 წ.